სარჩევი

ზოგადი ცნობები 3

ორგანიზაციული განვითარება 2006 წელს 3

2006-2009 წლების საპროგრამო პრიორიტეტები 5

საპროგრამო საქმიანობა 2006 წელს 6

დანართი. 2006 წელს განხორციელებული პროექტების ნუსხა 14

მისიის გაცხადება

ჩვენი საზოგადოება მეარ მშვიდობას, თავისუფლებასა და კეთილდღეობას ესწრფვის. ჩვენ გვჯერა, რომ ამ მიზნებს მივაღწევთ, თუ ჰატივს ვცემთ თითოეული ჩვენგანის თავისუფლებას და ჰიროვნულ ღირსებას, ჩამოვაყალიბებთ მრავალსახა და ენერგიულ სამოქალაქო საზოგადოებას, ხელს შეეწყობთ კონკურენტუნარიანი და გამჭვირვალე კერძო ბიზნეს-სექტორის, ასევე კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული, ქმედითუნარიანი და ანგარიშვალდებული სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციობას. ჰოლიტიკური ერთიანობის მქონე ერად ჩამოყალიბება ჩვენი ეოფნა-არეოფნის საკითხია. ჩვენ ვესწრაფვით შევინარჩუნოთ კულტურული მრავალფეროვნება – ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილი. ჩვენ მხარს ვუჭერთ ევროჰულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციას, რაც ჩვენი საზოგადოების სტრატეგიულ მიზნად გვესახება. ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობას შავი ზღვის ქვეყნებთან საგანგებო მნიშვნელობა აქვს ჩვენი რეგიონის განვითარებისათვის.

ამ მიზნების მისაღწევად ქართულმა საზოგადოებამ შეთანხმებული და თანმიმდევრული ჰოლიტიკური სტრატეგიები უნდა მოიმარჯვოს, გულწრფელად და კვალიფიციურად შეაფასოს თავისი მიღწევა-ნაკლოვანებები და საჯარო დებატები გამართოს ამ სტრატეგიათა და შეფასებათა ირგვლივ. დებატებში საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები უნდა ჩაერთონ. ჩვენ გვჭირდება მაღალი ხარისხის დემოკრატია, როცა ადამიანებმა იციან, როგორ მიაღწიონ კონსენსუსს და შეიწუნარონ განსხვავებული აზრი. ჩვენ სწორედ აქ ვაჰირებთ წვლილის შეტანას. ჩვენ მოვიჰოვებთ *ცოდნას* ჩვენი საზოგადოების შესახებ, ვაყალიბებთ იმის *ხედვას*, თუ რა არის საჭირო მის გასაუმჯობესებლად, და *ეკრებთ* ადამიანებს ჩვენი წინსვლის ჰირობების განსასჯელად.

მისამართი: მერაბ ალექსიძის ქუჩა №1, თბილისი 0193, საქართველო
სააბონენტო ყუთი 101, თბილისი 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 334081, ფაქსი: (995 32) 334163;
ელ-ფოსტა: cipdd@cipdd.org; ვებ-გვერდი: www.cipdd.org

ზოგადი ცნობები

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD) დაფუძნდა 1992 წლის აგვისტოში თბილისში. ინსტიტუტი არის არასამთავრობო და არასამეწარმეო ორგანიზაცია და არ უკავშირდება რომელიმე პოლიტიკურ პარტიას.

კავკასიური ინსტიტუტი საჯარო პოლიტიკის კვლევის ცენტრია. ის, ძირითადად, საქართველოში წარმართავს თავის საქმიანობას, თუმცა სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვა-ბალკანეთის სივრცეზე მიმდინარე ერთობლივ პროექტებშიც მონაწილეობს. ინსტიტუტი ხშირად არის სხვა – ქართული თუ უცხოური – სამოქალაქო ორგანიზაციის პარტნიორი ან რომელიმე კოალიციის წევრი. ამასთან, თანამშრომლობს საქართველოს ხელისუფლებასთან, პოლიტიკურ პარტიებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

კავკასიური ინსტიტუტი აწარმოებს კვლევებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს საჯარო პოლიტიკის სფეროში, გამოსცემს პუბლიკაციებს შესაბამის თემებზე, აწყობს კონფერენციებს, მრგვალ მაგიდებს და საჯარო დისკუსიებს. ინსტიტუტი აგრეთვე ატარებს სასწავლო ტრენინგებს და სემინარებს თავისი კომპეტენციის სფეროებში.

გია ნოდია, კავკასიური ინსტიტუტის თავმჯდომარე

კავკასიური ინსტიტუტი არ არის ნეიტრალური, პოლიტიკური ღირებულებების თვალსაზრისით; საჭიროების შემთხვევაში ის მონაწილეობს ლიბერალური დემოკრატიის მხარდამჭერ სამოქალაქო ინიციატივებში. ამ მიზნით ინსტიტუტი თანამოაზრე ინდივიდებთან და ორგანიზაციებთან შედის კოალიციაში.

ინსტიტუტის მუშაობას ზოგად ხელმძღვანელობას უწევს მისი თავმჯდომარე, გია ნოდია. მუდმივ ადმინისტრაციულ შტატს (ექვსი ადამიანი) ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, ავთანდილ ჯოხაძე უდგას სათავეში. ინსტიტუტის საპროგრამო საქმიანობას კოორდინაციას უწევს აღმასრულებელი საბჭო, რომელიც შედგება ინსტიტუტის თავმჯდომარის, აღმასრულებელი დირექტორის და პროექტების ხელმძღვანელებისაგან.

კავკასიური ინსტიტუტის სტრატეგიას განსაზღვრავს და მის საქმიანობას ზედამხედველობს გამგეობა, რომლის წევრებიც არიან:

- ია ანთაძე
- გიორგი გვახარია
- ირაკლი მჭედლიშვილი
- გიგა ზედანია
- მალხაზ სონღულაშვილი
- ემილია ხალილოვა
- ემზარ ჯგერენაია (თავმჯდომარე)

ორგანიზაციული განვითარება 2006 წელს

2006 ნაყოფიერი წელი იყო კავკასიური ინსტიტუტის ორგანიზაციული და სტრატეგიული განვითარებისათვის. ჰოლანდიური ფონდი *კორდეიდისა* და ღია საზოგადოების ინსტიტუტის (ბუდაპეშტი) მიერ გაწეული ფინანსური დახმარების მნიშვნელოვანი წილი სწორედ ინსტიტუციურ განვითარებას მოხმარდა. ეს მოიცავდა თვითშეფასების პროცესს, რომელსაც ინსტიტუტის ადმინისტრაცია უწევდა კოორდინაციას და გარე შეფასებას, რომელიც განახორციელეს ჰოლანდიელმა და ქართველმა ექს-

კავკასიური ინსტიტუტის გამგეობის სხდომა

პერტებმა მარსელ ცვამბორნმა და ლევან ხარატიშვილმა. ეს კავკასიური ინსტიტუტის რიგით მეორე გარე შეფასება იყო; პირველი 2003 წელს ჩატარდა, ასევე, ჰოლანდიური საკონსულტაციო ცენტრის – MEDE-ის მიერ.

შეფასებების შედეგები ინსტიტუტის საშუალოვადიანი სტრატეგიის შემუშავებას დაედო საფუძვლად (შესაბამისი დოკუმენტი განთავსებულია ვებ-გვერდზე www.cipdd.org) გამოიკვეთა ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების მთლიანი სურათი. შემფასებელთა აზრით,

ორგანიზაციის ძლიერი მხარეებია:

- ინსტიტუტის ღირებულებითი პოზიციის მდგრადობა;
- საექსპერტო/პროფესიული კომპეტენცია, აკადემიურობა და ობიექტურობა;
- ადამიანური რესურსების მოზიდვის და ინიციატივების წახალისების გამაპირობებელი მოქნილი სტრუქტურა;
- პროფესიული ზრდის შესაძლებლობის არსებობა;
- მაღალი სამოქალაქო აქტივობა. ინსტიტუტი ინტენსიურად თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- სანდოობის მაღალი ხარისხი პარტნიორების თვალში.

ინსტიტუტის ხარვეზებია:

- შიდა მართვის სისტემის მექანიზმების არასრულყოფილება;
- გარე გამგეობასა და შიდა საბჭოს შორის ფუნქციური პასუხისმგებლობების არასათანადო გამიჯნულობა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის გამართული მექანიზმის არარსებობა;
- სისტემატური ფანდრაიზინგისთვის საჭირო მენეჯმენტის სტრუქტურის არქონა;
- საპროექტო საქმიანობის და ფინანსური შიდა ანგარიშგების სისტემების სრულყოფის საჭიროება;
- მოსარგებლე და დაინტერესებულ მხარეებთან საჭიროებათა განსაზღვრის და მათთან ურთიერთობის სტრუქტურული მექანიზმის არარსებობა;
- მუდმივი ოფისის არქონა.

ჩამოთვლილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად 2006 წელსვე დაისახა და გატარდა არაერთი ღონისძიება:

- მომზადდა ინსტიტუტის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი;
- შემუშავდა შიდა ანგარიშგების, ადმინისტრირების და მონიტორინგის სტანდარტული ფორმები;
- განხორციელდა სტრუქტურული რეფორმა, დამტკიცდა და ამოქმედდა ახალი შინაგანაწესი;
- შეიქმნა სისტემატური ფანდრაიზინგისთვის საჭირო მენეჯმენტის სტრუქტურა და შემუშავდა ღონისძიებათა კომპლექსი მისი ეფექტური მუშაობისათვის;
- შეივსო და მოწესრიგდა შიდა კომუნიკაციის ელექტრონული სისტემა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის მუდმივმოქმედი მექანიზმის ასამუშავებლად განხორციელდა საშტატო გადამზადების ღონისძიებები (შტატის პიარ-ტრენინგი სოციალური კვლევების და პოლიტიკის საერთაშორისო ცენტრში) და მომზადდა ტექნიკური ბაზა;
- წამყვანი თანამშრომლებისთვის ჩატარდა პროექტების ციკლის მართვის ტრენინგი;
- მოზიდულ იქნა დამატებითი – ძირითადად, ახალგაზრდა თაობის – ადამიანური რესურსი;
- მოდერნიზება გაუკეთდა ინსტიტუტის ვებ-გვერდს.

კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება მუდმივი ოფისის უქონლობა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესების საჭიროება.

2006-2009 წლების საპროგრამო პრიორიტეტები

იმისათვის, რომ თავისი საქმიანობა უფრო ფოკუსირებული და ეფექტური გაეხადა, კავკასიურმა ინსტიტუტმა, პირველ რიგში, მომავალი რამდენიმე წლისთვის საპროგრამო პრიორიტეტები გამოკვეთა. ეს დაეფუძნა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში შექმნილი ახალი რეალობის და ახალი გამოწვევების შეფასებას. გავითვალისწინეთ ისიც, თუ რა სფეროებში აქვს კავკასიურ ინსტიტუტს მეტი გამოცდილება და ცოდნა.

საქართველოში არსებობს ფართო კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ ქართული სახელმწიფოს კონსოლიდაციის ერთადერთი გზა ძლიერი ლიბერალურ-დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნაზე გადის. ამ კონსენსუსს აძლიერებს ის გარემოება, რომ ყველა წამყვანი პოლიტიკური ძალა და საზოგადოების დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებას. თუმცა, ფართოდაა გაზიარებული ის აზრიც, რომ საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტები ჯერ განუვითარებელია და კიდევ დიდი გზაა გასავლელი მათ ნამდვილ კონსოლიდაციამდე. რჩება სერიოზული ხარვეზებიც დემოკრატიის ფორმალურ ინსტიტუციურ ჩარჩოსთან დაკავშირებით (მაგალითად, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებს შორის სათანადო კონსტიტუციური წონასწორობის უზრუნველყოფა). შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე დიდი გამოწვევები *დემოკრატიის ხარისხს* შეეხება. მართალია, პოლიტიკურ პარტიებს, დამოუკიდებელ მედიას და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ, თავისუფლად წარმართონ თავიანთი საქმიანობა და არსებობს მყარი ინსტიტუციური საფუძვლები სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, ამ დემოკრატიისთვის საკვანძო მნიშვნელობის ინსტიტუტების განვითარების დონე მაინც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. თითქმის არავინ უარყოფს, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია კორუფციის და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ან საჯარო მომსახურების სფეროში, მაგრამ საფუძვლიანი ეჭვი მაინც არსებობს იმის მიმართ, თუ რამდენად ინსტიტუციონალიზებულია ეს მიღწევები.

ინსტიტუტის თანამშრომლები

კავკასიური ინსტიტუტის ფინანსები

ინსტიტუტის საქმიანობა დონორების მხარდაჭერაზე, მისი თანამშრომლების, პარტნიორების და კოლეგების ენთუზიაზმსა და პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. მისი ფინანსების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოდის სხვა წყაროებიდან. ასეთია, მაგალითად, ინსტიტუტის გამოცემების გაყიდვით მიღებული შემოსავალი (ამ გამოცემების უმრავლესობა უსასყიდლოდ რიგდება).

2006 წელს ინსტიტუტის აქტივებმა შეადგინა 414 391 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი. 2006 წლის აუდიტორული დასკვნა შეგიძლიათ იხილოთ ინსტიტუტის ვებ-გვერდზე.

აქედან გამომდინარე, კავკასიურ ინსტიტუტს, როგორც საჯარო პოლიტიკის სფეროში მომუშავე კვლევით ორგანიზაციას, მიაჩნია, რომ მან პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ მუშაობას, რომელიც მიმართული იქნება პოლიტიკური და პოლიტიკის შემმუშავებელი პროცესების ხარისხის ამაღლებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისთვის საჭირო ინსტიტუტების გაძლიერებაზე. თავისი ძლიერი მხარეებისა და კომპეტენციის ფარგლების გათვალისწინებით, კავკასიურმა ინსტიტუტმა გადაწყვიტა, უპირატესად სამ პრიორიტეტულ სფეროზე მიმართოს თავისი საქმიანობა:

1. ***მრავალეთნიკურ და მრავალკონფესიურ გარემოში სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა;***

2. *სახელმწიფო მართვის და სამოქალაქო საზოგადოების ქმედითი და დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობა;*
3. *პოლიტიკური დიალოგის და პოლიტიკის შემუშავების პროცესის განვითარება.*

უფრო დაწვრილებით კავკასიური ინსტიტუტის საპროგრამო პრიორიტეტების შესახებ იხ. www.cipdd.org.

საპროგრამო საქმიანობა 2006 წელს

2006 წელს კავკასიური ინსტიტუტის საქმიანობა ძირითადად მიმართული იყო მისი სტრატეგიით განსაზღვრულ სამ თემატურ პრიორიტეტზე. მუშაობის ძირითადი შედეგები ამ სამი თემის მიხედვით არის შეჯამებული. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თემები ერთმანეთს კვეთს და ცალკეული პროექტი შეიძლება სხვადასხვა სფეროში არსებულ პრობლემებს ეხებოდეს.

1. საჯარო პოლიტიკის შემუშავებისა და განხილვის პროცესისათვის ხელშეწყობა

2006 წელს კავკასიური ინსტიტუტის მუშაობა ამ ნაწილში უპირატესად მიმართული იყო იმაზე, რომ გაეუმჯობესებინა საკუთარ აუდიტორიასთან ინფორმაციის მიწვდენა ახალი ვებ-გვერდის შექმნით, შეეკრიბა წამყვანი ქართველი პოლიტიკური ანალიტიკოსები საქართველოში დემოკრატიის განვითარების ტრაექტორიისა და მდგომარეობის შესაფასებლად, შეემუშავებინა მეთოდოლოგია, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი იქნებოდა სოციალური აქტორების ჩართვა გადაწყვეტებზე ორიენტირებულ საჯარო-პოლიტიკურ დიალოგში.

დისკუსია სტუდენტებთან. 11 ოქტომბერი, 2006

ავტორთა შეხვედრა: *ათი შეკითხვა საქართველოს პოლიტიკური განვითარების შესახებ.* 8-9 დეკემბერი, 2006

რას მოითხოვს ქართული საზოგადოება პოლიტიკური ელიტისაგან ახალ, ვარდების რევოლუციის შემდეგ შექმნილ სიტუაციაში? მზად არის თუ არა ის, რომ წუხილების ჩამოთვლას გასცდეს და ჩაებას დისკუსიაში იმაზე, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საქართველოსთვის უმწვავესი პრობლემები? სად უნდა ვიპოვოთ ის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ჯგუფები, რომლებიც მზად იქნებიან ჩაერთონ ასეთ დისკუსიაში? შესაძლებელია თუ არა და როგორ ავამაღლოთ მოქალაქეთა აქტიური ნაწილის უნარი, პრობლემების გადაწყვეტებზე იმსჯელონ, ნაცლად იმისა, რომ მხოლოდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ? 2006 წელს, ღია საზოგადოების ინსტიტუტის კვლევითი ცენტრების დახმარებით, კავკასიურმა ინსტიტუტმა დაიწყო ამ საკითხების გამოკვლევა რამდენიმე დისკუსიის ორგანიზებით, ძირითადად, ახალგაზრდების მონაწილეობით. ამ შეხვედრების მომზადებისას კავკასიური ინსტიტუტი შეუდგა ინოვაციური მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომლის მიზანიცაა ჯგუფების ჩართვა გადაწყვეტებზე ორიენტირებულ დისკუსიებში. ეს იყო პილოტური სტადია, რომლის შემდეგაც შემუშავებული მეთოდოლოგია სამიზნე ჯგუფებთან უნდა იქნეს გამოყენებული.

წამყვანი პოლიტიკის ანალიტიკოსების მონაწილეობით ჩატარდა პოლიტიკური ფო-

რუმი ათი შეკითხვა *საქართველოს პოლიტიკური განვითარების შესახებ*. მონაწილე მკვლევარებს ეთხოვათ შეეჯამებინათ საქართველოში ბოლო თხუთმეტი წლის პოლიტიკური განვითარების მიღწევები და გამოწვევები, ისევე როგორც სამომავლო პერსპექტივები და სცენარები. ეს იყო საქართველოს პოლიტიკური განვითარების ერთიანი სურათის შექმნის პირველი მცდელობა. 8-9 დეკემბერს გუდაურში ჩატარდა ავტორების კონფერენცია. შედეგები კავკასიური ინსტიტუტის არაპერიოდული გამოცემის ალმანახ *საზოგადოება და პოლიტიკის* მე-6 ნომერში დაიბეჭდა.

თავისი ძირითადი ვებ-გვერდის მოდერნიზაციის გარდა, კავკასიურმა ინსტიტუტმა გააგრძელა კონკრეტულ სფეროებზე სპეციალიზებული ვებ-გვერდების წარმოება. 2003 წლიდან კავკასიური ინსტიტუტი მოსკოვურ ორგანიზაციასთან – საგანგებო პირობებში მომუშავე ჟურნალისტიკის ცენტრთან ერთად ახორციელებდა პროექტს *ქართულ-რუსული საინფორმაციო ანალიტიკური ვებ-გვერდი* (www.pankisi.info). მისი მიზანია შექმნას ფორუმი პროფესიული და გაწონასწორებული დისკუსიისთვის ქართულ-რუსული ურთიერთობების კონკრეტულ საკითხებზე. ქართულ-რუსული დაძაბულობის ესკალაციამ ხაზი გაუსვა ამ ქვეყნებს შიგნით მიმდინარე მოვლენების შესახებ ქართული და რუსული საზოგადოების მართებული ინფორმირების პრობლემას. თუ რუსული მე-

www.pankisi.info

დია-პროდუქცია ქართული საზოგადოებისთვის ასე თუ ისე ხელმისაწვდომია, ქართულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები რუსეთში თითქმის არ აღწევს.

საიტის თემატიკა რუსულ-ქართული ურთიერთობების სხვადასხვა აქტუალურ ასპექტს მოიცავს: პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, საზოგადოებრივი ურთიერთობები.

ქართული მხარე უზრუნველყოფს საიტის ორ რუბრიკას: 1. ქართული პრესა რუსეთის შესახებ 2. ანალიტიკა (ცნობილ ქართველ ექსპერტთა და ჟურნალისტთა ექსკლუზიური წერილები).

პროექტის პირველი ეტაპი გრძელდებოდა 2003 წლის პირველი აგვისტოდან 2004 წლის პირველ აგვისტომდე. პროექტის მეორე ეტაპი 2005 წლის პირველი იანვრიდან 2006 წლის პირველ თებერვლამდე პერიოდს მოიცავდა, ხოლო მესამე – 2006 წლის პირველი თებერვლიდან 2007 წლის თებერვლამდე გაგრძელდება.

პროექტის ჩარჩოებში რეგულარულად ტარდებოდა ქართული პრესის მონიტორინგი და ირჩეოდა ყველაზე აქტუალური სტატიები, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ეხება.

შერჩეული სტატიები ითარგმნებოდა რუსულ ენაზე და თარგმანის სტილისტური რედაქტირების შემდეგ თავსდებოდა საიტ-

კავკასიური ინსტიტუტის დონორები

2006 წლის განმავლობაში კავკასიური ინსტიტუტის საქმიანობას მხარს უჭერდნენ შემდეგი დონორები:

- ფონდი *კორდეიდი* (Cordaid, ჰოლანდია)
- ევროკომისია
- ღია საზოგადოების ინსტიტუტის კვლევითი ცენტრების ფონდი (OSI Think Tank Fund, ბუდაპეშტი)
- ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატი
- ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო
- ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისი ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიული ინსტიტუტთან ერთად
- ორგანიზაცია *უსაფრთხო მსოფლიო* (Saferworld, ბრიტანეთი)
- კათოლიკური დახმარების სამსახური

ზე. სულ 2006 წელს საიტზე განთავსდა 171 ქართული პრესიდან ამოკრებილი სტატია და ქართველი ექსპერტების მიერ სპეციალურად საიტისთვის დაწერილი რამდენიმე სტატია.

ვებ-გვერდის პოპულარიზაციის მიზნით, მისი მონაცემები განთავსებულია internet.ge-ს და Google-ის ვებ-დირექტორიებში, საიტის რეკლამა მისი თემატურობის გათვალისწინებით განთავსებულია ჟურნალ **The Profile** -ის (№13) სრულ გვერდზე.

Pankisi.info სტაბილურად იკავებდა მაღალ ადგილს **mail.ru**-ს საფოსტო და საძიებო სისტემაში, სადაც ათასამდე რუსული ინტერნეტ-საიტის მოხმარების რეიტინგი ფიქსირდება. ბოლო დროს მან რეიტინგის მეორე გვერდიდან მთავარ გვერდზე გადაინაცვლა და 2005 წლის მიწურულს *პირველი ადგილიც კი ეჭირა*.

Pankisi.info-ს ბმული სულ უფრო ხშირად ჩნდება სხვა ინტერნეტ-გვერდების მითითებებში. საიტზე განთავსებულ ანალიტიკურ სტატიებს კი ხშირად აქვეყნებენ სხვა საკმაოდ სოლიდური ვებ-გვერდები.

საიტი უნიკალური ინფორმაციის წყარო გახდა იმ სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის, ვისაც არ აკმაყოფილებს იდეოლოგიურად ცალმხრივი ხედვა. დღეს ის ერთადერთი ვებ-გვერდია, რომელიც უფასოდ აწვდის რუსულენოვან მომხმარებელს ქართული პრესიდან თარგმნილ სტატიებს.

2006 წლის განმავლობაში გრძელდება ქართველი ცნობილი ექსპერტების და პოლიტიკოსების ექსკლუზიური სტატიებისა და მათთან ინტერვიუების განთავსება საიტის რუბრიკაში *ანალიტიკა*.

2. დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობა

ამ თემატიკაზე კავკასიური ინსტიტუტი 2006 წელს თანამშრომლობდა როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო ინსტიტუტებთან, კერძოდ, პოლიტიკურ პარტიებთან, დამოუკიდებელ მედიასთან და უსაფრთხოების სფეროს სახელმწიფო უწყებებთან.

კავკასიური ინსტიტუტი განაგრძობდა მუშაობას პროექტზე: *პოლიტიკური ინსტიტუტები საქართველოში*. ეს პროექტი 2005 წელს დაიწყო და წამყვან ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტთან, ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიის ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისთან თანამშრომლობით ხორციელდება.

პროექტის მთავარი ამოცანაა დაეხმაროს ქართულ პოლიტიკურ პარტიებს, გააძლიერონ შინაგანი ორგანიზაცია და უნარები, აგრეთვე ხელი შეუწყოს პარტიებს შორის დიალოგსა და თანამშრომლობას. პროექტმა ანალიტიკური საფუძველი მოამზადა პარტიებთან თანამშრომლობისა და ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამების განსახორციელებლად.

პროექტში მონაწილეობს ექვსი წამყვანი პოლიტიკური პარტია: საქართველოს კონსერვატიული პარტია, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველოს ლეიბორისტული პარტია, ახალი მემარჯვენეები, რესპუბლიკური პარტია და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. კვლევისას მთავარ მეთოდად პოლიტიკური პარტიების ჯგუფური ინტერაქტიული გამოკითხვები, აგრეთვე მრავალპარტიული კონფერენციები და ექსპერტული ინტერვიუები გამოიყენებოდა. პარტიები კვლევის აქტიური მონაწილეები და პარტნიორები იყვნენ. თითოეული პოლიტიკური პარტიიდან შერჩეული წარმომადგენელი აქტიურად თანამშრომლობდა მკვლევართა ჯგუფთან. კვლევის საგანს შეადგენდა პარტიების განვითარებისთვის უმთავრესი საკითხები: პარტიის იდეოლოგიური სახე და პოლიტიკის განსაზღვრა, ორგანიზაციული სტრუქტურა, ფინანსური და

მრავალპარტიული კონფერენცია. 17 მარტი, 2006

ადამიანური რესურსები, შიდა დემოკრატია, საზოგადოებასთან ურთიერთობა და საარჩევნო კამპანია და ა. შ.

კვლევის შედეგები შეჯამდა პროექტის პირველი ფაზის ძირითად პროდუქტში – წიგნში „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი. პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები“, რომელიც 2006 წელს გამოქვეყნდა და წარედგინა ქართულ და საერთშორისო აუდიტორიებს. სახელდობრ, წიგნის პრეზენტაციები ჩატარდა როგორც დამატებითი ღონისძიებები დემოკრატიისთვის მსოფლიო მოძრაობის მმართველი საბჭოს შეხვედრაზე (ჰააგა, 2006, ოქტომბერი) და ეუთო-ს ადამიანური განზომილების თანმდევ შეხვედრაზე (ვენა, 2006, ნოემბერი). ამავე წლის აპრილში, კვლევის შედეგებზე დაყრდობით, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტმა კავკასიურ ინსტიტუტთან ერთად დემოკრატიისთვის მსოფლიო მოძრაობის მეოთხე (სტამბოლის) ასამბლეის ფარგლებში მოაწყო თემატური სემინარი *პოლიტიკური ორგანიზაციების ინტერაქტიული შეფასება: საქართველოს მაგალითი*.

კვლევის შედეგად მოპოვებული ცოდნა საქართველოს პოლიტიკური პარტიების დღევანდელ მდგომარეობაზე დაეხმარა პარტნიორ ორგანიზაციებს, განესაზღვრათ პროექტის უმთავრესი ამოცანები 2006-2008 წლებისთვის: საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტების მხარდაჭერა მათი შიდაორგანიზაციული წყობის მოდერნიზების, ქმედუნარიანობის ამაღლების და ინტერპარტიული კავშირურთიერთობების გაუმჯობესების მიმართულებით; ახალგაზრდების და ქალების ჩართულობის გაძლიერება. პროექტის კიდევ ერთი სტრატეგიული მიზანია თბილისში *მრავალპარტიული ცენტრის დაარსება*.

2006 წლის სექტემბერში პირველად საქართველოს პრაქტიკაში შეიქმნა მრავალპარტიული ვებ-გვერდი (www.partiebi.ge). ეს არის ნეიტრალური ინტერნეტული რესურსი, სადაც ყველა წამყვანი ქართული პარტია (მმართველი იქნება ის, თუ ოპოზიციური) თანაბარ საფუძველზეა წარმოდგენილი.

პარტიების შესახებ საიტზე განთავსებული ინფორმაცია რეგულარულად ივსება. ამავე გვერდზე თავსდება პროექტის ფარგლებში შექმნილი ყველა პუბლიკაციის ელექტრონული ვერსიაც, ინფორმაცია საქართველოს პოლიტიკური პარტიების ცხოვრებაზე, ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, მათი პოლიტიკის განაცხადები და ა. შ.

2006 წლის მანძილზე ჩატარდა ორი მრავალპარტიული კონფერენცია და რამდენიმე ტრენინგი პროექტში ჩართული პარტიების, ქართველი და უცხოელი ექსპერტების, ჰოლანდიური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მონაწილეობით. 13-15 ივლისის მრავალპარტიულ კონფერენციაზე განხილულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი სისტემა და მუნიციპალური არჩევნები. 11 დეკემბრის კონფერენციის დღის წესრიგს პარტიათა საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვის საკითხები შეადგენდა. კონფერენციის შემდეგ ნიდერლანდების ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა საქართველოს

კავკასიური ინსტიტუტის პარტნიორი ორგანიზაციები

ქვემოთ ჩამოთვლილია ორგანიზაციები, რომლებთანაც კავკასიური ინსტიტუტი ერთობლივ პროექტებს ახორციელებდა 2006 წლის განმავლობაში:

- *უსაფრთხო მსოფლიო* (Saferworld, ბრიტანეთი)
- ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი (IWPR, ბრიტანეთი), მისი თბილისის ოფისის მეშვეობით
- კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი (საქართველო)
- TIRI ჯგუფი (დიდი ბრიტანეთი)
- ვრიფიტის უნივერსიტეტი (ავსტრალია)
- საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- ექსტრემალურ სიტუაციებში მომუშავე ჟურნალისტიკის ცენტრი (რუსეთი)
- ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (NIMD)
- ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატი (OSCE HCNM)
- ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE ODIHR)

ექვსი ქართული პოლიტიკური პარტია:

- ახალი მემარჯვენეები
- მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- საქართველოს კონსერვატიული პარტია
- ლეიბორისტული პარტია
- რესპუბლიკური პარტია

პოლიტიკური პარტიებისთვის ორდღიანი ტრენინგი ჩაატარეს სტრატეგიული დაგეგმვის საკითხებში.

გარდა ამისა, დეკემბრის კონფერენციას ჰქონდა მნიშვნელოვანი შედეგი როგორც მთლიანად პროექტის შემდგომი მიმდინარეობისთვის, ისე, შესაძლოა, საქართველოში პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობისთვის. ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა გაიცნეს ე.წ. VoteMatch, რაც ქართულად შეიძლება ითარგმნოს როგორც ხმამკვლევი: ტექნიკა, რომელიც, ერთი მხრივ, ეხმარება ამომრჩეველს, დააფუძნოს თავისი არჩევანი ცოდნას პარტიების პოზიციების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, ეხმარება პარტიებს, განავითარონ თანმიმდევრული სტრატეგიები და პარტიული პროგრამები. ეს ინსტრუმენტი ჰოლანდიაშია შემუშავებული, მაგრამ რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში გამოიყენება. საქართველოს პოლიტიკური პარტიები შეთანხმდნენ, რომ ხმამკვლევის ტექნიკა დაეხმარებოდა მათ პოლიტიკური გზავნილების უკეთ ჩამოყალიბებასა და ამომრჩევლისათვის მიწოდებაში. მათ გადაწყვიტეს, 2007 წლის მანძილზე დაამუშავონ ხმამკვლევის ქართული ვერსია იმ ანგარიშით, რომ შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება 2008 წლის არჩევნებისთვის. მიღწეულ იქნა შეთანხმება იმაზეც, რომ ჰოლანდიური ორგანიზაცია *პოლიტიკური მონაწილეობის ცენტრი* მიმდინარე პროექტის ფარგლებში ფასილიტაციას გაუწევს ამ პროცესს.

2006 წელს გრძელდებოდა პროექტი *საქართველოში რეგიონული მედიის განვითარება და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულება*, რომელსაც კავკასიური ინსტიტუტი ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის (IWPR) თბილისის ოფისთან ერთად 2003 წლიდან ახორციელებს. პროექტის მიზანია გააძლიეროს რეგიონული ბეჭდვითი მედია. IWPR-თან კავკასიური ინსტიტუტის თანამშრომლობა 1990 წლების შუა პერიოდში დაიწყო ჟურნალისტებისთვის ტრენინგების სერიით და საქართველოში საგამომძიებლო ჟურნალისტიკის მხარდაჭერის პროგრამით. IWPR წამყვანი პარტნიორია პროექტში და თანამშრომლობს საქართველოს ექვს ადგილობრივ გაზეთთან, რომლებიც კონკურსით შეირჩა სხვადასხვა რეგიონში. კავკასიური ინსტიტუტის წვლილი პროექტის შესრულებაში რეგიონული მედიის მდგომარეობის შესწავლა და პროექტის ფარგლებში ცალკეულ მედია-ორგანიზაციებთან გაწეული თანამშრომლობის შედეგად მომხდარი ზეგავლენის მონიტორინგია.

კავკასიური ინსტიტუტი პროექტს რამდენიმე ეტაპად ახორციელებს: პირველ ეტაპზე ჩატარდა რეგიონული მედიის განვითარების პრობლემების პილოტური კვლევა 15 შერჩეული ქალაქის მაგალითზე. მეორე ეტაპზე ჩატარდა კვლევა, რომელმაც საქართველოს 10 რეგიონის ყველა ქალაქი (სულ 61) და რაიონული ცენტრი მოიცვა. დაიწერა საბოლოო ანგარიში და გამოიცა რეგიონული მედია-რუკა.

მესამე ეტაპი დაიწყო 2005 წლის თებერვალში და 2006 წლის ბოლომდე გაგრძელდება. ამ ეტაპზე ჩატარდა ადგილობრივი მედიის, ხელისუფლების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუები. ადგილობრივი აუდიტორიის მოლოდინებისა და საინფორმაციო პრეფერენციების შესასწავლად მოეწყო შეხვედრები ფოკუს-ჯგუფებთან.

2006 წლის მანძილზე გაგრძელდა თანამშრომლობა კავკასიურ ინსტიტუტსა და ბრიტანულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან *უსაფრთხო მსოფლიო* (Saferworld). 2005 წლის დეკემბერს დაიწყო მსუბუქი შეიარაღებისა და ადამიანთა უსაფრთხოების საკითხებზე მრავალმხრივი კვლევა, რომელიც გავრცელდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გარდა რეგიონებისა, რომლებზეც თბილისის კონტროლი ფაქტობრივად არ ხორციელდება.

ინსტიტუტის ახალი გამოცემის პრეზენტაცია – *შეაფასე და აკონტროლე: მცირე შეიარაღება და ადამიანური უსაფრთხოება საქართველოში*. 17 ოქტომბერი, 2006

კვლევის დროს სხვადასხვა მეთოდი გამოიყენებოდა: რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკითხვა მთელი ქვეყნის მასშტაბით (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარდა), 1300 რესპოდენტზე 14 ფოკუს-ჯგუფური დისკუსია, 50-ზე მეტ მნიშვნელოვან თანამდებობის და გავლენიან პირთან ინტერვიუ, ოფიციალურ მონაცემთა და მედიის ანგარიშთა ანალიზი. *უსაფრთხო მსოფლიოსთან* ერთად მოეწყო რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა, სადაც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შეეძლოთ ინფორმაცია მიეღოთ კვლევის მიმდინარეობაზე და თავისი კომენტარი გაეკეთებინათ.

კვლევის ანგარიშში აისახა ის პროგრესი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლებამ 2004-2006 წლებში მიაღწია უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების პროცესში. ამ მიღწევებს შორის იყო სხვადასხვა სახელმწიფო უწყების დაქვემდებარებაში არსებული სამხედრო შენაერთების გაერთიანება, იარაღის გადაზიდვების საერთაშორისო კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება, ინვესტიციები საქართველოს საზღვრის დაცვის მენეჯმენტის სფეროში, ინვესტიციები სამოქალაქო ლიცენზირების სისტემაში, რეფორმები პოლიციის და სასამართლო სისტემაში. მაგრამ ანგარიშმა ხარვეზებიც გამოავლინა: ამ სფეროს პოლიტიკის განვითარების და უწყებათშორისი თანამშრომლობის არასაკმარისი დონე; ცეცხლსასროლი იარაღის ფლობისა და არადანიშნულებისამებრ გამოყენებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა; იარაღის მარაგების განკარგვის, საერთაშორისო გადაზიდვების და საზღვრის კონტროლის სფეროში არსებული ნაკლოვანებები; საერთაშორისო ტრანსფერების კონტროლისა და საზღვრის დაცვის ხარვეზები.

ანგარიშის ბოლოს მოცემულია ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომელიც მიმართულია ქვეყნის შიგნით შეიარაღებათა კონტროლის და უსაფრთხოების ზოგადი მდგომარეობის ამაღლებაზე.

2006 წლის დეკემბერში საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის დაფინანსებული ახალი ერთწლიანი პროექტი

გამოცემები



შეაფასე და აკონტროლე: მცირე შეიარაღება და ადამიანური უსაფრთხოება საქართველოში

დევიდ ვუდი
ქართულ და ინგლისურ ენებზე

საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი – პოლიტიკური პარტიები მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები

გია ნოდია, ალვარო პინტო სქოლტბახი
ქართულ და ინგლისურ ენებზე

დაიწყო – *უსაფრთხოების სისტემის დემოკრატიული მმართველობის გაუმჯობესება სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილეობის მეშვეობით*. პროექტის მიზანია უსაფრთხოების დაწესებულებების საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშგების პროცესის გაუმჯობესება ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგის წახალისების გზით.

ხელისუფლებასთან კავკასიური ინსტიტუტის თანამშრომლობის კიდევ ერთი მაგალითია 2005 წლის სექტემბერში დაწყებული პროექტი *კეთილსინდისიერი ქცევის უზრუნველმყოფი ეროვნული სისტემის პარამეტრების წინასწარი განსაზღვრა საქართველოში*, რომელიც 2006 წელსაც გაგრძელდა. პროექტის მიზანია შეისწავლოს სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის ინსტიტუციური გარემო მისი ანტიკორუფციული მდგრადობის თვალსაზრისით, შეიმუშავოს და საქართველოს ხელისუფლებას მიაწოდოს რეკომენდაციები არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად.

პროექტს ერთობლივად ახორციელებენ მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. მისი ინიციატორები არიან TIRI ჯგუფი (დიდი ბრიტანეთი), გრიფიტის უნივერსიტეტის (ავსტრალია) ეთიკის მართვისა და სამართლის ინსტიტუტი, ღია საზოგადოების ინსტიტუტი (უნგრეთი), ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო.

კვლევის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ როგორ ფუნქციობს კეთილსინდისიერი ქცევის უზრუნველმყოფი სისტემა საქართველოში და რამდენად იცავს ხელისუფლება ქცევის ეთიკურ სტანდარტებს. კვლევა მოიცავდა სახელისუფლებო ინსტიტუტებს (პარლამენტს, აღმასრულებელ, სასამართლო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და განსაკუთრებული უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოებს), ასევე საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და მედიას. კვლევას აინტერესებდა აგრეთვე ინსტიტუციური ურთიერთქმედების მექანიზმები და ცალკეული უწყებების რესურსები და უნარები ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარებისას. გამოიკვეთა რეფორმების განხორციელების პროცესში არსებული წინაღობები, შემუშავდა მათი დაძლევის რეკომენდაციები.

3. სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა ეთნიკური და კონფენსიური პლურალიზმის პირობებში

ამ მიმართულებით 2006 წლის განმავლობაში ინსტიტუტმა ორი პროექტი განახორციელა:

ჰოლანდიური *კორდეიდის* მიერ დაფინანასებული და კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრთან ერთობლივი პროექტი *ლიბერალურ-დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება რელიგიური პლურალიზმის გარემოს გაუმჯობესების მეშვეობით* და ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის დაფინანსებული *სამცხე-ჯავახეთში ვითარების კვლევა და ანალიზი*.

პირველი პროექტის შემთხვევაში 2006 წელი სამწლიანი სამუშაოს დამაგვირგვინებელი წელი იყო. ამ ხნის განმავლობაში შეჯამდა პროექტის ფარგლებში აქამდე ჩატარებული კვლევითი სამუშაოს შედეგები. კვლევამ რელიგიური პრობლემის შესახებ საზოგადოებაში არსებული დიდი აზრთა სხვაობა და შემწყნარებლობის დაბალი დონე გამოავლინა.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რელიგიური უმცირესობების მდგომარეობა რეგიონებში ბევრად უარესია, ვიდრე დედაქალაქში, თუმცა დისკრიმინაციის და ძალადო-

სემინარი – *რელიგიური პლურალიზმის ხელშეწყობა სამოქალაქო განათლების მეშვეობით.* 9-10 ივნისი, 2006

ბის ფაქტები ახლა უფრო შენიღბულია, ვიდრე 2003 ნოემბრის რევოლუციამდე.

ამავე პროექტის ფარგლებში ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებო სკოლების პედაგოგების გადასამზადებელი ტრენინგ-სემინარებიც: *ვასწავლოთ და ვისწავლოთ ტოლერანტობა*, სულ წლის განმავლობაში – 135, აქედან 100 თბილისში, 30 ბათუმში, 16 რუსთავში და 12 მცხეთაში. მომზადდა ტრენერთა დამატებითი ჯგუფები რეგიონებში სამუშაოდ. სწავლებამ პედაგოგების დიდი მოწონება დაიმსახურა. ტრენინგები პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმაც გაიარეს.

2006 წლის 10-11 ივნისს ბაკურიანში შედგა შეხვედრა-სემინარი ქართველი, რუსი, უკრაინელი, რუმინელი, ბულგარელი და მაკედონიელი ექსპერტეების მონაწილეობით. სემინარის თემა იყო *რელიგიური პლურალიზმის ხელშეწყობა სამოქალაქო განათლების მეშვეობით*. შეხვედრაზე განიხილეს ოთხი ექსპერტის გამოხმაურება ინსტიტუტის მიერ შედგენილ სასწავლო გეგმაზე, რის შემდეგაც გეგმამ საბოლოო სახე მიიღო: შემუშავდა რელიგიის სწავლების ძირითადი პრინციპები და განისაზღვრა სასწავლო-საგანმანათლებლო საკითხები; დადგინდა სწავლების პროცესის წარმატების ინდიკატორები და დაისახა მისაღწევი შედეგები.

2006 წლის განმავლობაში მომზადდა ეროვნული სასწავლო გეგმის რუსული და ინგლისური თარგმანები.

პროექტის განხორციელებაში კავკასიური ინსტიტუტი განათლების და მეცნიერების სამინისტროს სრული მხარდაჭერით სარგებლობდა.

ამავე პროექტის ფარგლებში რელიგიური გამოცემების და რელიგიურ თემაზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების ამსახველი ყოველთვიური ელექტრონული ბიულეტენიც მზადდებოდა (www.cipdd.org).

2006 წლის განმავლობაში კავკასიურმა ინსტიტუტმა განაგრძო ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის ძალისხმევათა კოორდინირება, რაც შესაძლო კონფლიქტის ინდიკატორების გამოსავლენად სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების მონიტორინგს გულისხმობდა. პროექტი, რომელსაც კავკასიური ინსტიტუტი ახორციელებს – *სამცხე-ჯავახეთში ვითარების კვლევა და ანალიზი* – არის ნაწილი სამცხე-ჯავახეთში კონფლიქტის პრევენციის და ინტეგრაციის დიდი პროგრამისა, რომელიც 2000 წელს დაიწყო.

პროექტის მიზანია გამოიკვლიოს და გააანალიზოს სამცხე-ჯავახეთში კონფლიქტის შესაძლო კერები, ეთნოსებს შორის ურთიერთობები, ურთიერთობები ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის, საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი აქტორების (რუსეთი, აშშ) რეგიონული პოლიტიკა.

ყოველივე ამის საფუძველზე უმაღლესი კომისარიატის ოფისს და საქართველოს მთავრობას უნდა მიეწოდოს განახლებადი ინფორმაცია პოტენციურ კონფლიქტურ ზონებში არსებული ვითარების შესახებ; უნდა შემუშავდეს რეგიონში ვითარების მომავალი განვითარების შესაძლო სცენარი და მომზადდეს რეკომენდაციები შესაძლო კონფლიქტის პრევენციაზე.

პროექტის ფარგლებში კავკასიური ინსტიტუტი რუსულ და ინგლისურ ენებზე ამზადებს ყოველთვიურ ანგარიშს იმის შესახებ, თუ როგორ შუქდება სამცხე-ჯავახეთის პრობლემები ადგილობრივ მედიაში, რისთვისაც ის ადგილობრივი კორესპონდენტების (სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის სულ 13 პირის) მონაცემებს იყენებს. 2006 წლის განმავლობაში მომზადდა თორმეტი ანგარიში და ჩატარდა ოთხი ტრენინგ-შეხვედრა კორესპონდენტებისათვის (ერთი თბილისში და სამი რეგიონში).

ადგილობრივი კორესპონდენტების მხრიდან ხშირია ანგარიშგასაწევი მოსაზრებების შემოთავაზება მომავალი განვითარებისა და არსებული პრობლემების გადაჭრის თაობაზე. მათ მონაცემებზე დაყრდნობით კავკასიური ინსტიტუტი იმუშავებს რეგიონში მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარებს და რეკომენდაციებს რეგიონში მოქმედი სხვადასხვა აქტორისთვის.

დანართი
2006 წელს განხორციელებული პროექტების ნუსხა

რუსეთ-საქართველოს საინფორმაციო-ანალიტიკური საიტი www.pankisi.info

1.	პროექტის სახელწოდება	რუსეთ-საქართველოს საინფორმაციო-ანალიტიკური საიტი www.pankisi.info
2.	პროექტის ხანგრძლივობა	1.07.2006 – 1.07.2007
3.	ბიუჯეტი	$ 14 789
4.	დონორი ორგანიზაცია	ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო
5.	პარტნიორი ორგანიზაცია(ები)	ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრი (მოსკოვი)
6.	პროექტის კოორდინატორი/ დირექტორი	თამარ შამილი
7.	პროექტის მიზანი	მიეწოდოს მკითხველს რუსული და ქართული მხარის დაბალანსებული, დეიდიოლოგიზებული ინფორმაცია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ
8.	აქტივობათა ჩამონათვალი	ქართული პრესის მონიტორიგი; შერჩეული სტატიების რუსულ ენაზე თარგმნა; თარგმნილი სტატიების რედაქტირება, საიტზე განთავსება; ექსკლუზიური სტატიების შეკვეთა, რუსულ ენაზე თარგმნა, რედაქტირება, საიტზე განთავსება

ინსტიტუციური მხარდაჭერა 2006/8

1.	პროექტის სახელწოდება	ინსტიტუციური მხარდაჭერა 2006/8
2.	პროექტის ხანგრძლივობა	1.01.2006 – 31.12.2008
3.	ბიუჯეტი	$ 180 900
4.	დონორი ორგანიზაცია	ღია საზოგადოების ინსტიტუტი
5.	პარტნიორი ორგანიზაცია(ები)	–
6.	პროექტის კოორდინატორი/ დირექტორი	გია ნოდია
7.	პროექტის მიზანი	კავკასიური ინსტიტუტის ინსტიტუციური მხარდაჭერა
8.	აქტივობათა ჩამონათვალი	ინსტიტუციური მხარდაჭერა; საჯარო დისკუსიებისა და სემინარების ჩატარება საინსტიტუტო პუბლიკაციების გამოცემა

სიტუაციის ანალიზი სამცხე-ჯავახეთში

1.	პროექტის სახელწოდება	სიტუაციის ანალიზი სამცხე-ჯავახეთში
2.	პროექტის ხანგრძლივობა	03.2006 – 03.2007
3.	ბიუჯეტი	60 995 €
4.	დონორი ორგანიზაცია	ეუთო
5.	პარტნიორი ორგანიზაცია(ები)	–
6.	პროექტის კოორდინატორი/ დირექტორი	მარინა ელბაქიძე
7.	პროექტის მიზანი	სიტუაციის ყოველთვიური მონოტორინგი სამცხე-ჯავახეთში
8.	აქტივობათა ჩამონათვალი	ყოველთვიური ანგარიშის დაწერა; ტრენინგი პროექტში მონაწილე რეგიონული პარტნიორებისათვის

უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული მმართველობის გაუმჯობესება სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილეობით

1.	პროექტის სახელწოდება	უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული მმართველობის გაუმჯობესება სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილეობით
2.	პროექტის ხანგრძლივობა	1.12.2006 – 1.12.2007
3.	ბიუჯეტი	40 930 €
4.	დონორი ორგანიზაცია	ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში
5.	პარტნიორი ორგანიზაცია(ები)	ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია *უსაფრთხო მსოფლიო* (Saferworld)
6.	პროექტის კოორდინატორი/ დირექტორი	თათა მახათაძე
7.	პროექტის მიზანი	უსაფრთხოების ინსტიტუტების საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების მიმართ მათი ანგარიშგების გაუმჯობესება სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის დიალოგის გაღრმავების გზით
8.	აქტივობათა ჩამონათვალი	შეხვედრები და დისკუსიები; ვითარების ანალიზი; სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მონახაზის შექმნა; სამოქალაქო ჯგუფებისათვის სატრენინგო მასალების მომზადება; საუნივერსიტეტო კურსის მომზადება

პოლიტიკური ინსტიტუტები საქართველოში

1.	პროექტის სახელწოდება	პოლიტიკური ინსტიტუტები საქართველოში
2.	პროექტის ხანგრძლივობა	07.2006 – 03.2007
3.	ბიუჯეტი	101 500 €
4.	დონორი ორგანიზაცია	ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, დემოკრატიის ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი
5.	პარტნიორი ორგანიზაცია(ები)	ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიული ინსტიტუტი ეუთო-ს დემოკრატიის ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ექვსი პოლიტიკური პარტია: ახალი მემარჯვენეები, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საქართველოს კონსერვატიული პარტია, რესპუბლიკური პარტია ლეობორისტული პარტია (ნოემბრის მერე მასთან თანამშრომლობა შეწყდა)
6.	პროექტის კოორდინატორი/ დირექტორი	ლიკა სანიკიძე
7.	პროექტის მიზანი	ქართული პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა. 2008 წლის ბოლოსთვის, მრავალპარტიული ცენტრის შესაქმნელად მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება
8.	აქტივობათა ჩამონათვალი	ოთხი მრავალპარტიული შეხვედრის ორგანიზება; პარტიების წევრთათვის ტრენინგების ჩატარება; გზამკვლევების, ბროშურების მომზადება

კეთილსინდისიერი ქცევის უზრუნველმყოფი ეროვნული სისტემების პარამეტრების წინასწარი განსაზღვრა საქართველოში

1.	პროექტის სახელწოდება	კეთილსინდისიერი ქცევის უზრუნველმყოფი ეროვნული სისტემების პარამეტრების წინასწარი განსაზღვრა საქართველოში
2.	პროექტის ხანგრძლივობა	6 თვე
3.	ბიუჯეტი	$ 21 130
4.	დონორი ორგანიზაცია	OSI/OSGF
5.	პარტნიორი ორგანიზაცია(ები)	TIRI ჯგუფი (დიდი ბრიტანეთი), გრიფიტის უნივერსიტეტი (ავსტრალია), საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს ახალგაზდა იურისტთა ასოციაცია
6.	პროექტის კოორდინატორი/ დირექტორი	მალხაზ სალდაძე
7.	პროექტის მიზანი	საქართველოში ანტიკორუფციული მდგრადობის უზრუნველმყოფი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების (ორგანიზაციები, კანონები, სტანდარტები) შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება მათი შემდგომი გაძლიერების მიზნით
8.	აქტივობათა ჩამონათვალი	ჩაღრმავებული ინტერვიუები; მიღებული ინფორმაციის წინასწარი ანალიზი; საბოლოო ანგარიშის მომზადება

უსაფრთხო მსოფლიოსა და კავკასიური ინსტიტუტის თანამშრომლობა მცირე შეიარაღებაზე კონტროლის, უსაფრთხოების სექტორის რეფორმირებისა და კონფლიქტის ანალიზის საკითხებში

1.	პროექტის სახელწოდება	უსაფრთხო მსოფლიოსა და კავკასიური ინსტიტუტის თანამშრომლობა მცირე შეიარაღებაზე კონტროლის, უსაფრთხოების სექტორის რეფორმირებისა და კონფლიქტის ანალიზის საკითხებში
2.	პროექტის ხანგრძლივობა	05.2006 – 05.2007
3.	ბიუჯეტი	$ 7 200
4.	დონორი ორგანიზაცია	უსაფრთხო მსოფლიო
5.	პარტნიორი ორგანიზაცია(ები)	–
6.	პროექტის კოორდინატორი/ დირექტორი	თამარ პატარაია
7.	პროექტის მიზანი	მსუბუქი შეირაღებისა და ადამიანური უსაფრთხოების საკითხების შეფასება; კონფლიქტის ანალიზი
8.	აქტივობათა ჩამონათვალი	მსუბუქი შეირაღებისა და ადამიანური უსაფრთხოების საკითხების კვლევა- შეფასება; კონფლიქტის ანალიზის ჩატარება და სამუშაო დოკუმენტის მომზადება